ყველას ერთად ხომ არ დამთავრდება დიდების ზღაპარი?

ბოლო დროს საქართველოში, კერძოდ კი, თბილისში დატრიალებულმა მოვლენებმა მხოლოდ პოლიტიკოსებს როდი შეუქმნა პრობლემები. ზოგიერთი ფუნქციონერის პოსტიდან წასვლის შემდეგ შესაძლოა, სხვა პროფესიის წარმომადგენლებსაც, მაგალითად, მსახიობებსაც მოუხდეთ სამსახურის დატოვება და ბედის სხვა სფეროში ცდა. ეს საშიშროება ეხება პაროდისტებსაც, რომლებიც „დიდების ზღაპრის" თოჯინებს ახმოვანებენ. აღმოჩნდება თუ არა ზურაბ ჟვანიას თოჯინის გამხმოვანებელი ბესო ვერულაშვილი თამაშგარე მდგომარეობაში, ჯერ კიდევ საკითხავია. ბატონი პრეზიდენტის თოჯინის გამხმოვანებელი **მერაბ გეგეჭკორი** რომ ნამდვილად გადაურჩა პოსტიდან წასვლას, ეს კი ცხადია. რა იქნება მომავალში, რამდენად უსაფრთხოდ გრძნობს ცნობილი იმიტატორი თავს და ეშინია თუ არა „პოსტის" დაკარგვისა, ამაზე თავად მერაბი გვიპასუხებს.

— გამომდინარე იქიდან, რომ მე სამ სხვადასხვა პოლიტიკურ პოლუსზე მდგომ პოლიტიკოსს — ბატონ ედუარდს, ბატონ ასლანს და ბატონ თემურ შაშიაშვილს ვახმოვანებ, — ვფიქრობ, უახლოეს მომავალში „დიდების ზღაპრიდან" წასვლა არ უნდა მემუქრებოდეს. კარგად ამყოფოთ ღმერთმა, მაგრამ ყველასთვის ერთდროულად ხომ არ დამთავრდება „დიდების ზღაპარი".

— თუ არ ვცდები, სხვა ცნობილ პიროვნებებსაც ახმოვანებ, მათ შორის, ჯაბა იოსელიანსაც.

— ამას წინათ სუფრასთან მოვხვდი ბატონ ჯაბასთან ერთად. ხან შევარდნაძის ხმით ვმეტყველებდი, ხან კიდევ — სხვების. მერე ბატონ ჯაბას მივმართე მისივე ხმით. ჯერ მისმინა და შემდეგ მეკითხება: „კაცო, გამაგებინე, ნუ გადამრიე, შევარდნაძე ხარ თუ იოსელიანი. რეებს ლაპარაკობ, აურიე ახლა შენ რალაცა". სხვათა შორის, ინგა გრიგოლიას მოსწონს ძალიან ოტია იოსელიანის გახმოვანება ჩემგან და მეც არ ვზარდები. ამას წინათ ვეუბნები ოტიას ხმით (მერაბი ინტერვიუს დროსაც სხვადასხვა ხმით ლაპარაკობს და თუ კარგად არ იცნობთ, მართლა იფიქრებთ, ეს კაცი ურევს რალაცასო) — „ვინაა კაცო ეს ქალი. „პულიმიოტივით" მოგაყრის წუთში 33 ათას სიტყვას და მერე გეუბნება გამარჯობას. ამის მერე, რაღა დროს გამარჯობაა, შე ოჯახაშენებულო. წაი სახლში და დეიძინე".

— ამდენი პოლიტიკოსის მიმბაძველს ალბათ გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტაციაც გექნება.

— რა გაინტერესებს? ვისისტი ვარ? ხშირად მეკითხებიან, შენ შევარდნაძისტი ხომ არა ხარო? მეც ბატონი ედუარდის ხმით ვპასუხობ, აბა, ვისისტი ვიქნებიმეთქი.

— ბევრმა არ იცის, რომ მსახიობობა სწორედ „დიდების ზღაპრის" წყალობით განიზრახე.

— ეს ჩემი უფროსი მეგობრის, დავით სალარიძის დიდი დამსახურებაცაა (სხვათა შორის, დავითის ხმით ხშირად ვურეკავ საერთო მეგობრებს და საგონებელში ვაგდებ). მე ახლა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი რომ ვარ, ბ-ნი დათოს თანადგომით გადაწყდა ეს საკითხი. ჩემი პოპულარობა კი, ბატონ ჯემალ ბაღაშვილის წყალობით დაიწყო. „იუმორინას" კონცერტებში მონაწილეობამ ძალიან ბევრი სიკეთე მომიტანა.

— მერაბ, „დიდების ზღაპარში" როგორ მოხვდი?

— თენგიზ მირზაშვილმა „დიდების ზღაპარზე" რომ დაიწყო მუშაობა და შევარდნაძის გამხმოვანებელი დასჭირდა, მაშინ უცნობებიათ მისთვის ჩემ შესახებ. იმ დროს რესტორანში ვმუშაობდი. მოვიდა ბატონი თენგიზი და მითხრა — თქვენი უნარის წყალობით, შესაძლოა საქმიანი კონტრაქტი გავაფორმოთო.

— „ბატონო პრეზიდენტო", თქვენ ჯერ კიდევ თეატრალური ინსტიტუტის მე-2 კურსელი ხართ. რას აპირებთ, „დიდების ზღაპარში" „მეფობას" ჩვეული, მეფე ლირს ხომ არ შეეჭიდებით?

— არა, მე თეატრალური ინსტიტუტის თოჯინების სამსახიობო ფაკულტეტზე ვსწავლობ. უკვე მაქვს საშუალება, რომ ჩემი თავი ნიღბების ხელოვნებით წარმოვაჩინო. ნიღაბს იმაგრებ თავზე, მხარზე ან სხეულის სხვა ნაწილზე, მოგყავს მოძრაობაში და ნიღბის მიხედვით მეტყველებ, ანუ ყველას თავისი ხმით ახმოვანებ. ასე რომ, „დიდების ზღაპარმა" გზა გამიკაფა თეატრალური ინსტიტუტისაკენ, ახლა აქ იხვეწება ჩემი შესაძლებლობები.

— თემურ შაშიაშვილი როგორ შეხვდა იმ ამბავს, რომ შენ, ქუთაისელი კაცი მის თოჯინას აშარჟებ?

— ავარიაში რომ მოჰყვა, მაშინ გავიცანი, მეგობრებმა უთხრეს ეს ის არის, პრეზიდენტის, შენი და ასლანის ხმით რომ მეტყველებსო. „უყურე შენ, რანაირი ყოფილა ეს კაცი, რა ძლიერი ყოფილხარ ბიჭო. სამი კაცის ხმას როგორ იტევო" — სიცილით მითხრა ბატონმა თემურმა და მეც მისი ხმით ვუპასუხე — არ ვერევი პოლიტიკაში, ეგ პოლიტიკოსების საქმეა. საქართველო იყოს კარგად და ხალხის გულის გასახარად, პაროდიებს არ მოგაკლებთ-მეთქი.

ეკა ლომიძე

ჟურნალ-გაზეთების გამოწერა

თბილისის მაცხოვრებელთათვის

სახლიდან გაუსვლელად

ტელ: 33-26-73

გადავწყვიტე, აღარ დავლიო

ორიოდე დღის წინ მეგობარმა დამირეკა და სასიხარულო ამბავი მაცნობა — სულ მალე შვილი შემეძინებაო. ჩემი სამეგობროს ამბებით თავს როგორ შეგაწყენდით, რომ არა ერთი უაღრესად კურიოზული მოვლენა. — იცით, მომავალმა დედამ მომავალ მამას სად აუწყა სასიხარულო ამბავი? — ბენზინგასამართ სადგურზე და სწორედ იმ ტექსტით, რომელსაც მსახიობი გოგოლა კალანდაძე **მალხაზ ქვრივიშვილს** ეუბნება ცნობილ ტელერეკლამაში. ასეა, ასე, მალხაზ ქვრივიშვილის კინო-გმირის, გიო ცერცვაძის სიყვარულით, ლამის ყველა გიორგის გიუნას ეძახიან ცოლები. ახლა მგონი საგანგებოდ დაფეხმძიმებაც გადაწყვიტეს, რომ მეუღლეებს ბენზინგასამართ სადგურებზე ახარონ ეს ამბავი. მოკლედ, ალბათ მალე დემოგრაფიული პრობლემაც მოგვეხსნება. ხუმრობა იქით იყოს და გიუნას თაყვანისმცემლებმა მთხოვეს — ინტერვიუს რომ ჩაწერ, ჰკითხე ერთი, როცა მისმა ნამდვილმა ცოლმა აუწყა, მალე შვილი გვეყოლებაო, როგორ შეხვდა ამ ცნობასო? მეც ამ კითხვით დავიწყე მალხაზთან საუბარი.

— პა, პა, პა *(ჩაიცინა მან)*, ძალიან ბედნიერი ვიყავი, ძალიან გამიხარდა. თუმცა, ეს არც ბენზინგასამართ სადგურზე მომხდარა და არც ცაში ავფრენილვარ. ეს უბრალოდ ჩემს ძალებს აღემატება. მერე ქალიშვილი შემეძინა და კიდევ უფრო გავიხარე, თანაც ჩემი ყურებიც გადაურჩა მოსალოც ჭიმვა-გრეხას.

— მალხაზ, როცა სერიალის, „ძილის წინ" იმ ნაწილს ვუყურე, სადაც შენ და ბატონი სანდრო მეუღლეებისთვის სიყვარულის ახსნას ლამობდით, კინაღამ სიცილით გავიგუდე. ბატონ იმედას კი ვკითხე ამის შესახებ, მაგრამ შენგანაც მაინტერესებს: ნუთუ ცხოვრებაშიც ასე გიჭირს სიყვარულის ახსნა?

— ყოველთვის ძალიან მიჭირდა სიყვარულის ახსნა, სიტყვის — „მიყვარხარ" — თქმა. პირველი ასეთი შემთხვევა ძალიან მტკივნეულად დამამახსოვრდა, მძიმე შეგრძნება მქონდა, ძლივს გადავწყვიტე, მეთქვა, მიყვარხარ-მეთქი და რაღაც ამოვილუღლუღე, მაგრამ ეს არ იყო ის, რისი გაკეთებაც მინდოდა.

— გაუბედაობისა და დაბნეულობის გამო დაგემართა ასე, თუ „გულის ვარდმა" შეგბოჭა?

— ის ძალიან კარგი მეგობარი და ახლობელი იყო, მაგრამ მე, რატომღაც, სიტყვით გრძნობების გამოხატვა არ გამომდის. თუმცა, ამას არც აქვს ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარია გრძნობა, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება, ანუ გული გულს იცნობს, თვალი თვალს ხედავს და სიყვარულიც სხვანაირად გამოიხატება.

— ახლაც შეყვარებული ხარ?

— დიახ. თუმცა ამ თემაზე საუბარი არ მინდა.

— ლელა დეკანოსიძის მსგავსი ქალი თუ შეიძლება შეგიყვარდეს?

— ყველანაირი ქალი შეიძლება შეგიყვარდეს. გააჩნია შენს ნებას, თვალთახედვას და ა.შ. მაინც მგონია, რომ ეს თავისთავად ხდება და ჩვენზე დამოკიდებული არ არის.

— როცა შეყვარებული ხარ, ზემოქმედებს თუ არა წელიწადის დროები ან ამინდი?

— როგორ არა. გაზაფხულზე ხომ სხვანაირად ვგრძნობთ სისხლის ჩქროლვას. მაშინ ყველაფერს სხვანაირად ვუყურებ და მათ შორის, შეყვარებულსაც.

— ალბათ, ძალიან ორიგინალურ საჩუქრებსაც უძღვნი.

— თუ ადამიანი რომანტიკულია და თან ხელოვანიცაა, საჩუქარსაც ორიგინალურს გააკეთებს. საჩუქრის მირთმევა ჩემთვის ბედნიერებაა. ერთხელ გირჩაც კი ვაჩუქე ახლობელს, იქნებ ბავშვური და სულელური ფაქტია, მაგრამ კარგი შეგრძნება მქონდა.

— შენზე ამბობენ, ახლაც ბავშვურიაო.

— ვინ როგორ თვლის, არ ვიცი, მე ერთი უბრალო მოკვდავი ვარ, ვისაც ლამაზად ცხოვრება უყვარს.

— ბახუსსაც ეტრფი არა, როგორც ყველა ქართველი მამაკაცი.

— წელიწადი და 10 თვეა ბახუსს თავი დავანებე, გადავწყვიტე, აღარ დავლიო. უკვე მივიღე ალკოჰოლის საჭირო დოზა, კარგადაც შევირგე, კარგი მოქეიფეც ვიყავი, მაგრამ ახლა უკეთ ვქეიფობ და ყველას ჰგონია, რომ ისევ ვსვამ. სადღეგრძელოებიც შესანიშნავად გამომდის, განსაკუთრებული სიამოვნებით სიყვარულზე ვამბობ — ხან ლექსით, ხან ფილოსოფიური აზრით, ხანაც იუმორით.

— სიგარეტს დაანებე თავი, თუ ჯერ არ მიგილია საკმარისი დოზა?

— ძალიან მინდა შევეშვა და შემეშვას. მაგრამ, ცხოვრება არ მეშვება, დუხჭირი ყოფის გამო, სიგარეტს ვერ ვანებებ თავს.

— ახალს ხომ არაფერს ჰპირდები მაყურებელს?

— წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს, ერთად ენახავთ, რა გამოვა.

ეკა ლომიძე

ქაღალდი პოლიგრაფიისთვის

საგაზეთო და ოფსეტური

ყველაზე იაფად

ადგილზე მიწოდებით

ტელ: 71-04-14; 877-43-28-62